



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამულისრეპლიკალი ეროვნული კომისია

გ ა ღ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N92/39

2017 წლის 07 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ
კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის
შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა
კომისიამ საჯარო სხდომაზე განიხილა მოქალაქე გ. მგელაძის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ
ფაუერის“ მიმართ (№15745/01. 05.12.2017), შპს „სალვუს საბურთალოს“ წარმომადგენლის
დ. ჩიჩუას შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№15780/01. 05.12.2017), მოქალაქე
მ. თოდუას შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№15823/01. 06.12.2017), შპს
„დილომი ჰაუსის“ დირექტორის გ. ბებუას სს „თელასის“ მიმართ (N15510/01, 29.11.2017)
განცხადებების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების
გამოცემის ვადის განსაზღვრის საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი
ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული
წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და
გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების
საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ განცხადებებთან დაკავშირებით
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად და
საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის საჭიროა
განცხადებათა დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა
მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა, გამოკვლევა და შეფასება, რაც
დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე, კომისიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მოქალაქე გ. მგელაძის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ (№15745/01. 05.12.2017), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 6 მარტი.
2. შპს „სალვუს საბურთალოს“ წარმომადგენლის დ. ჩიჩუას შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ (№15780/01. 05.12.2017), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 6 მარტი.
3. მოქალაქე მ. თოდუას შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ (№15823/01. 06.12.2017), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 7 მარტი.
4. შპს „დილომი ჰაუსის“ დირექტორის გ. ბებუას სს „თელასის“ მიმართ (N15510/01, 29.11.2017), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 30 თებერვალი.
9. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს განცხადების წარმდგენ პირებს.
10. გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღების დღიდან.

11. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N 6) მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

